KA021759298460914

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, გ.ჭანტურიას ქ.12

12 G.Chanturia Str.,0108 Tbilisi,Georgia

N4/44249

18 / ნოემბერი / 2014 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 და 2012 წლის 7 მაისის N165 დადგენილებებში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურებისა და სოფლის ექიმის მომსახურება 2014 წლის 1 იანვრიდან სრულად დაფინანსდება სახელმწიფო პროგრამებით. აღნიშნულის თაობაზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის 3 ივლისის N 01/56638 (სააგენტოში რეგ.N32498/04, 03.07.2014) კორესპონდენციით მოთხოვნილია ცვლილებების განხორციელება შესაბამის მზღვეველ კომპანიებთან გაფორმებულ საინვესტიციო ხელშეკრულებებში.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად, მზღვეველმა კომპანიებმა იკისრეს ვალდებულება, უზრუნველყონ ამავე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობა გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან შვიდი წლის განმავლობაში, ხელშეკრულებებით დადგენილი სპეციფიური პირობების გათვალისწინებითა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით. ხელშეკრულებების მიხედვით, აღნიშნული ვალდებულების დარღვევისათვის მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. ამასთან, ამ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო წერილობით აცნობებს გამყიდველს (ამ შემთხვევაში, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლე) მათი შეუსრულებლობის შესახებ, რის საფუძველზეც გამყიდველი მყიდველს გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების გონივრული ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ზემოხსნებული დადგენილებების საფუძველზე, იმ ბაზისური სამედიცინო სერვისებიდან, რომელთა უწყვეტად შენარჩუნება ევალებათ მზღვეველ კომპანიებს, 2014 წლის 1 იანვრიდან სოფლის ექიმისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურებები სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, საკითხის განხილვისა და შესაბამის ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, გთხოვთ, უმოკლეს ვადაში გვაცნობოთ თქვენი პოზიცია მზღვეველი კომპანიების მიერ ამ ვალდებულების (ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობა) შესრულების/ შეუსრულებლობის და მათთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობის შესახებ.

პატივისცემით,

იურიდიული დეპარტამენტის სახელშეკრულებო
ვალდებულებათა მონიტორინგის სამსახურის
უფროსი

დიმიტრი შანიძე